საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN16

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

22 ნოემბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. გიორგი ბარათაშვილი ; 9. დავით ცხადაძე;10. რუსუდან კოვძირიძე,11. ამირან ვერულაშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 11 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის
ცნობად მიღების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას შეახსენა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და შესასწავლად დაეწერა მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის წერილი (N28-282231281, 08/11/2022),(ინიციატივა), გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ, კერძოდ: თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ შეისწავლა თანდართული დოკუმენტების სისრულე და თვლის, რომ წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები: ბიოგრაფიული ცნობები, სახელდების ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება, შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა (ორთოფოტო,ქუჩის მდებარეობა XYკოორდინატების მითითებით), რაც არის შემდგომი პროცედურების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

მომხსენებლის განმარტებით კანონმდებლობა ავალდებულებს შესაბამის კომისიას გამართოს კონსულტაციები საკითხის ირგვლივ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განხორციელდა 2022 წლის 14 ნოემბერს 12:00 საათზე, რაც დასტურდება მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი ოქმით და კონსულტაციაში მოსახლეობის მონაწილეობის მიღების სარეგისტრაციო ფურცლებით, სადაც დატანილია ხელმოწერები (სულ 111 კაცი). ადგილობრივი მოსახლეობა ხაზგასმით აღნიშნავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის განსაკუთრებულ როლს თერჯოლის წინაშე და ერთხმად აცხადებენ, რომ ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭოს ლაშა გოგიაშვილის სახელი.

მომხსენებლის განმარტებით, პროცედურა ითვალისწინებს საკრებულოს შუალედური გადაწყვეტილების მიღებას ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ. შესაბამისად წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი , რომელიც უნდა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დამტკიცების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულომ მიზანშეწონილად უნდა მიიჩნიოს ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებულ სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭება.

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას აცნობა საკრებულოს წევრების ერთობლივი განცხადების თაობაზე,(N19-29223261-29, 22.11.2022 წ), რომელიც იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა. საკრებულოს წევრები გამოხატავენ სურვილს უმრავლესობაში გაწევრიანდნენ და აცნობებენ საკრებულოს , რომ მათ შორის არჩეულ იქნა უმრავლესობის ლიდერი-გიორგი ბარათაშვილი;

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 11, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. რეგისტრაციაში უნდა გატარდეს საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ უმრავლესობის ხელმოწერებით დადასტურებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია, სადაც მითითებული იქნება უმრავლესობის ლიდერი.

მუხლი 2. წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უმრავლესობის ხელმოწერებით დადასტურებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია, სადაც მითითებული იქნება უმრავლესობის ლიდერი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: